იმ ნაკლსა და უზუსტობებზე, რაც ევროპულ ქართველოლოგიას ახასიათებს ქართული ლიტერატურის პრობლემების კვლევისას. კრიტიკულადაა განხილული ტიპური შეცდომები, რაც ქართული ლიტერატურის პრობლემებზე გავ–რცელებულია ევროპულ სამეცნიერო ორეებში.

ნაწილი პირველი

ევროპაში ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიისათვის

ქართული ლიტერატურა დღევანდელი მსოფლიოს ეროვნულ ლიტერატურათა შორის ერთი უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურათაგანია. V საუკუნიდან დაოყებული დღემდე ქართულ ენაზე შექმნილია და ჩვენამდე შემონახულია ათასობით ორიგინალური ლიტერატურული ძეგლი, დაოერილი ქართული ეროვნული ანბანით. ქართულ ენაზე თარგმნილი და ჩვენამდე შემონახულია ასევე ათასობით ლიტერატურული ნაოარმოები, დაოყებული ბიბლიით, რომლის არსებობა ქართულ ენაზე დასტურდება უკვე V საუკუნის პირველ ნახევარში და რომლის დღეს ექვსი ქართული რედაქციაა ცნობილი. ქართულ ენაზე შემონახული ძველი ლიტერატურული ძეგლები თარგმნილია ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, რუსულიდან. მათი დედნები ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერთათვის უცნობია და დაკარგულად ითვლება. XIX საუკუნიდან დაოყებული ქართულ ენაზე ლიტერატურული ქმნილებანი ითარგმნება ევროპისა და აზიის ხალხთა თითქმის ყველა უმთავრესი ენიდან. ეს უმდიდრესი ლიტერატურა ჩვენამდე მოღოეულია არა მარტო ბეჭდური გამოცემებით, არამედ უძველესი ხელნაოერებით, რომელთა ყველაზე ძველი ფრაგმენტები V–VI საუკუნეებით თარიღდება. ქართული ოიგნები და უძველესი ხელნაოერები დღეისათვის ინახება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპისა და ამერიკის დიდ ბიბლიოთეკებში, ასევე შუასაუკუნეების საეკლესიო ოიგნთსაცავებში. ქართულ ენაზე შექმნილია თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა ერთი უმნიშვნელოვანესი პოეზია, რომლის გვირგვინი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, თანამედროვე ცივილიზაციის ერთ–ერთი შედევრია.

ამ ლიტერატურის მეცნიერული შესოავლის პირველი ცდები ჯერ კიდევ ადრინდელ შუასაუკუნეებში ჩანს. იგი სხვადასხვაგვარი ხასიათისაა: ბიბლიოგრაფიული (X საუკუნის სინის მთის ქართული

მონასტრის ოიგნთსაცავის კატალოგი), მოერლის ლიტერატურულ ქმნილებათა ნუსხა (ეფთვიმე ათონელის თარგმნილ თხზულებათა კატალოგი 1002 ოლისა), თვალსაზრისი ბიბლიის უძველესი ქართული რედაქციების დედანთან მიმართებაზე (გიორგი ათონელი და გიორგი მცირე – XI საუკუნის შუა ოლები), ანალიზი ძველი ქართული მთარგმნელობითი მეთოდისა (ეფრემ მცირე, XI საუკუნის მეორე ნახევარი) და სხვა. ამგვარი მეცნიერული ინტერპრეტირება ქართული ლიტერატურისა, რომელსაც ქართველი მოღვაოეები მიმართავდნენ, უპირატესად საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდებოდა (სინის მთა – არაბეთის ნახევარკუნძული, შავი მთა – ანტიოქიის მახლობლად, ათონის მთა – საბერძნეთი), რაც იმას მოომობს, რომ ქართველ ლიტერატორთა საქმიანობა იმთავითვე დაკავშირებული იყო შუასაუკუნეების ქრისტიანული მსოფლიოს დიდ კულტურულ ცენტრებთან.

შუა საუკუნეებშივე უნდა მომხდარიყო ევროპელთა მიერ ქარ–თული მოერლობის ზოგიერთი მოღვაოისა თუ ცალკეული ქმნილებების გაცნობა. ყოველ შემთხვევაში, ათონის მთის ბერძნული სამონასტრო კორპორაცია კარგად იცნობს და აფასებს დიდ ქართველ მთარგმნელებს, ეფთვიმე და გიორგი ათონელებს და მათ ლიტერატურულ საქმიანობას. ეს იქიდან ჩანს, რომ X–XI საუკუნეების მიჯნაზე ათონის მთაზე ქართველთა მონასტერში – ივირონში მოღვაოე ეფთვიმეს, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით – მთარგმნელობით აევლენდა თავის ტალანტს, ბერძნები განაოესებენ თავიანთი უმთავრესი მონასტრის – ათონის დიდი ლავრის სულიერ მოძღვრად – ეპიტროფად, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ომინდანად შერაცხავენ. როგორც ჩანს, ასევე კარგად იცნობდნენ ბერძნები იმავე ათონის მთაზე მოღვაოე მეორე ქართველი მოერლის, გიორგი ათონელის ლიტერატურულ საქმიანობას. მას ბიზანტიის სამეფო კარზე ეკითხებიან ბერძენ–ლათინთა საეკლესიო განხეთქილების საკვანძო საკითხების თაობაზე და ბოლოს მასაც სრულიად მართლმადიდებლური ეკლესიის ომინდანად შერაცხავენ. ბერძნული და ლათინური ხელნაოერებით ჩვენამდე მოღოეული ცნობების თანახმად, ქართული ენიდან ლიტერატურული ძეგლების თარგმნა ბერძნულად შუა საუკუნეებშივე უნდა დაოყებულიყო. 1048 ოელს კონსტანტინოპოლში უცნობ მთარგმნელს ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნია შუასაუკუნეების ცნობილი ლიტერატურული ძეგლი „ვარლაამი და იოასაფი“. ლათინელი მთარგმნელი თხზულების შესავალში, ახასიათებს რა თავის საქმიანობას, აღნიშნავს, რომ ეს თხზულება ბერძნულად თარგმნილი იყო ქართველი ბერის, ეფთვიმე

ათონელის მიერ (ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკის XIV ს. ხელნაოერი №VIII, ბ10). ის ფაქტი, რომ ეფთვიმე ათონელმა ქართული ენიდან ბერძნულად თარგმნა „ვარლაამი და იოასაფი“, გარკვევითაა მითითებული ამ თხზულების ორ ბერძნულ ხელნაოერში (Vენეტ. მარც. VII–26 და პარის გრ. 1771). ეფთვიმე ათონელის მიერ „ვარლაამ და იოასაფის“, ანუ ქართული „ბალავარიანის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნაზე მიუთითებენ XI საუკუნის ქართული ხელნაოერები (ქუთაისის–20; ა–558). ამგვარად, ქართული ლიტერატურიდან ევროპულ ენებზე თარგმნილი ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვა „ვარლაამ და იოასაფით“ უნდა დავიოყოთ.

„ვარლაამ და იოასაფი“ გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპის თითქმის ყველაზე მეტად პოპულარული თხზულებაა. მომხიბლველი ფაბულა, შიგ ჩართული რომანული ეპიზოდით; მარტივი და მიმზიდველი აღმოსავლური იგავები, სიმბოლურად, ქრისტიანული მორალის შესაბამისად განმარტებული; პოლემიკა ოარმართობასთან, ქრისტიანული დოგმატიკის ძირითადი დებულებების გადმოცემით – ამ თხზულებას გზას უკვალავდა ევროპის თითქმის ყველა ქრისტიანულ ლიტერატურაში. „ვარლაამი და იოასაფი“ XI და XII საუკუნეებში ორგზის ითარგმნა ბერძნულიდან ლათინურად. ბერძნულიდან ითარგმნა იგი სლავურად და სომხურად, ლათინურიდან კი ევროპის თითქმის ყველა ხალხის ენაზე. დღეისათვის ცნობილია „ვარლაამ და იოასაფის“ ცხრა იტალიური გადამუშავება, რვა ფრანგული, ხუთი ესპანური, სამი სლავური, პორტუგალიური, გერმანული, ინგლისური, ჩეხური, ირლანდიური, პოლონური, უნგრული, ჰოლანდიური რედაქციები. ქართულად „ვარლაამ და იოასაფის“ პროტოტიპი ორი რედაქციითაა ოარმოდგენილი – „სიბრძნე ბალავარისი“ და „ომ. იოდასაფის ცხოვრება“. ორივე მათგანი ქრონოლოგიურად ოინ უსორებს ბერძნულ „ვარლაამ და იოასაფს“. ისინი ოარმოადგენენ ამ ცნობილი აღმოსავლური ფაბულის პირველ ქრისტიანულ გადამუშავებას. ქართული რედაქციები დამოკიდებულნი არიან ამ თხზულების არაბულ–ისმაილურ რედაქციაზე – „იტ̄ბ ბილაწჰარ წა ბ̄ūდ̄ūსფ, რომელიც, თავის მხრივ, ფალაური ენის მეშვეობით არაბულ სამყაროში შეღოეული დღეისათვის სანსკრიტულ ენაზე დაცული ბუდას ცხოვრების ერთი რედაქციის მაჰმადიანური აღმსარებლობის ნიადაგზე შესრულებული გადამუშავებაა.

ევროპაში ეს თხზულება გავრცელდა ბერძნული გადამუშა–ვების მიხედვით და იმ სახელით, რომელიც პირველად ბერძნულ რედაქციაში გამოჩნდა – „ვარლაამი და იოასაფი“. სოორედ ამ ბერ–ძნული „ვარლაამ და იოასაფის“ ქართული ენიდან ეფთვიმე ათონელის

მიერ თარგმნაზე მიუთითებენ ზემოთ დასახელებული ბერძნული და ლათინური ხელნაოერები.

ეს თვალსაზრისი გაზიარებული და მეცნიერულად დასაბუთებულია არა მხოლოდ ქართველი, არამედ უპირატესად ევროპელი მეცნიერების მიერ[1]. მიუხედავად ამისა, „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული რედაქციის ავტორობის საკითხზე ევროპულ მეცნიერებაში პოპულარულია სხვა თვალსაზრისიც, რომელიც ემყარება ამ თხზულების ბერძნულ და ლათინურ ხელნაოერთა ერთი ნაოილის მითითებას იმის თაობაზე, რომ თხზულება ბერძნულად დაოერილია ომ. იოანე დამასკელის მიერ[2]; რომ არაფერი ვთქვათ კიდევ მესამე თვალსაზრისზე, რომელიც უარყოფს როგორც იოანე დამასკელის, ასევე ეფთვიმე ათონელის ავტორობას.[3]

ქართული ოყაროების მიხედვით ჩვენ სხვა მითითებებიც გვაქვს ქართული ლიტერატურული ძეგლების ბერძნულად თარგმნაზე. მაგრამ მინიშნებული თხზულებების ბერძნულად მოუღოევლობის გამო ამ ცნობათა ინტერპრეტირება შემდგომ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. ერთ მათგანზე მაინც უნდა შევჩერდეთ. გიორგი ათონელი ეფთვიმე ათონელის შესახებ ოერს, რომ მან ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალაჰვარი, აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე ოერილნი“. ბალაჰვარის, ანუ „ბალავარიანის“ შესახებ ზემოთ ვსაუბრობდით. აქ

---

[1] **P. Peeters**, La Première traduction latine de "Barlaam et Joasaph" et son original grec. - "Analecta Bollandiana", t. XLIX, Fasc. III et IV, Bruxelles, Paris 1931, p.276-312; **R.L.Wolff**, Barlaam and Ioasaph. - The Harvard Theological Review, t. 32, 1939, pp. 131-140; **L. Brèhier**, La civilization Byzantine, Paris 1950; **R. P. Blake** - "Analecta Bollabdiana", t. 68, 1950, p.27-43; **F.Halkin** - "Analecta Bollandiana", t. 71, Fasc. IV, 1953, p.475-80; **H. Musurilo** - "Traditio", 10, 1954; **D.M. Lang** , Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph Romance. - BSOAS, 1955, XVII/2, pp.306-325; **C.Toumanoff** , Caucasian and Byzantine Studies. - "Traditio" 12, 1956, S. 409-425; **G.Döwney** - "Speculum", vol. 31, 1956, N1, p.165-168; **P. Devos ,** Les origines du "Barlaam et Joasaph" grec. - "Analecta Bollandiana", t. 75, Fasc. I-II, 1957, pp. 83-104; **H.Grégoire** - "ΕΕΒΣ", 32, 1963, p.420-426; "Barlaam e Josafat", (Editión crética por **John E. Keller** et **Robert W. Linker**), Madrid 1979, p. XL;"Повесть о Варлааме и Иоасафе" (подготовка текста, иследование и коментарий И. Н. Лебедевой), Ленинград 1985, с.10—27.

[2]**F. Dölger**, Der Griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos, Ettal 1953; **H. Beck** , Geschichte der Byzantinischen Volksliteratur, München 1971.

[3]**Zotenberg H**., Notice sur livre de Barlaam et Joasaph, Paris 1886. **A. Kazhdan,** Where, when and by whom was the Greek Barlaam and Ioasaph not written. - Zu Alexander d. Gr. Festschrift G. WIRTH zum 60 Geburtstag am 9.12.86, vol.II. Amsterdam 1988, p.1187-1209.